**გამარტივებული შესყიდვის საშუალებით**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**
**ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №276**

**ქ. თბილისი** **26/დეკემბერი/2016 წელი**

ეს დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო 2016 წლის 26 დეკემბერს 2016 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის (სახსრების) შესაბამისად, მონეტარული ზღვრების დაცვით, დაფინანსების წყარო – საკუთარი შემოსავლები.

**ხელშეკრულების მხარეები**

ერთი მხრივ შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი" (ს/კ 236035517) – ხელმძღვანელობაზე /წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი ნუგზარ ბოლქვაძე (პ/ნ 01008008307) (შემდგომში „შემსყიდველი") მისამართი: თბილისი ჯავახიშვილის ქ. 51, და მეორე მხრივ, შპს „მაიჯიპიეს" (ს/კ 205216176 ), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქუჩა N6 , ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – გენერალური დირექტორი - მიხეილ ჩაკაბერია, (შემდგომში მიმწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ტერმინთა განმარტებები**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.
1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების სახელმწიფო შესყიდვას.
1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს CPV – 63713700 - საგზაო მოძრაობის კონტროლის მომსახურებები; (შემდგომში - „მომსახურება") კერძოდ: შემსყიდველისთვის სპეციალიზებულ ვებ–პროგრამაზე დაშვება, რომელიც უზრუნველყოფს შემსყიდველთან შეთანხმებული და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტ(ებ)ის ადგილმდებარეობის მითითებას გლობალური პოზიციონირების სისტემის გამოყენებით და დაშვებული სიზუსტით. მომსახურების ზუსტი ჩამონათვალი და ღირებულება მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს
2.2. 2.1 პუნქტში მოცემული მომსახურების შესრულების ადგილად განისაზღვრება საქართველოს ტერიტორია; მომსახურების გაწევა იწარმოებს 2017 წლის 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 420 ლარს (ოთხას ოცი ლარი);
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

**4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

4.1. მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება, ყოველთვიურად, მითითებული ღირებულების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებით, მომსახურების გაწევის შემდეგ, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.
4.2. ყოველი საანგარიშო თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღეში მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს გაწეული მომსახურების მიღება–ჩაბარების აქტს ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურას.
4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მხოლოდ მომსახურების მიღება–ჩაბარების აქტისა ან/და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის გამვალობაში.

**5. ხარისხი**

მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს, ხოლო მიწოდებული მომსახურება უნდა იყოს იდენტური ხელშეკრულების დანართი N1-ში აღნიშნული მაჩვენებლების.

**შემსყიდველი** **მიმწოდებელი**

## 6. მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ გაფორმებული შესაბამისი (მიღება–ჩაბარების აქტი ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურა) დოკუმენტაციის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესყიდული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

ბ) გამოიყენოს მის კუთვნილ ობიექტ(ებ)ში დამონტაჟებული სპეციალური მოწყობილობა მხოლოდ დანიშნულებისამებრ და შეთანხმებული წესების მიხედვით;

გ)დაუყონებლივ აცნობოს შემსრულებელს სპეციალური საშუალების გაუმართაობის ყველა შემთხვევის და/ან ობიექტის რემონტის ჩატარების შესახებ;

დ)სისტემის გამართულად მუშაობის უზრუნველსაყოფად, ობიექტ(ებ)ი განათავსოს გლობალური პოზიციონირების სისტემის და მობილური კავშირის დაფარვის ზონაში;

ე) ობიექტ(ებ)ის მესამე პირზე გაყიდვის ან სხვა ფორმით გადაცემის შემთხვევაში აცნობოს მას იმის შესახებ, რომ ობიექტ(ებ)ი არის სპეციალური სისტემით აღჭურვილი, ამასთან შემსრულებელს წერილობით აცნობოს გაყიდვის ფაქტის ან ობიექტ(ებ)ის სხვა პირზე გადაცემის შესახებ.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები მოქმედი ნორმებისა და წესების დაცვით, სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.

ბ) უზრუნველყოს სპეციალიზებული ვებ–პროგრამის შეუფერხებელი ფუნქციონირება;

გ)უზრუნველყოს შემსყიდველისთვის სპეციალიზებულ ვებ–პროგრამაზე შესაბამისი დონის დაუბრკოლებელი დაშვება და ამისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება;

დ) დადგენილი პროცედურის მიხედვით უზრუნველყოს სემსყიდველის მიერ წარმოდგენილ ობიექტ(ებ)ზე სპეციალური მოწყობილობის დამონტაჟება იმ დღისთვის არსებული განრიგის გათვალისწინებით;

ე) სპეციალურ სანავიგაციო მოწყობილობებზე საგარანტიო პირობები გაავრცელოს დამონტაჟებიდან 3 (სამი) წლის ვადით. გარანტიის პერიოდში მათი დაზიანების, გაუმართაობის ან/და სხვაგვარი დეფექტის გამოვლენის შემთხვევაში შეცვალოს 15 დღის ვადაში (გარანტია არ ვრცელდება მოწყობილობების ფიზიკური ან მაღალი ძაბვით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში).

ვ) წარუდგინოს მიმწოდებელს სპეციალური საშუალების და ვებ–პროგრამის ექსპლუატაციის წესები;

## 8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი პირი ან პირთა ჯგუფი, კერძოდ: შ.პ.ს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“-ს ბორითის სამედიცინო დაწესებულების მენეჯერი მიხეილ ქამუშაძე, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურებისა და სამონტაჟო სამუშაოების შესახებ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მომსახურების მოცულობის, მიწოდების ვადებისა, ხარისხის და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
| _____ | _____ |

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

9.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება პირგასამტეხლოს სახით, კერძოდ: შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%–ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

## 14. სხვა პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად (ორი შემსყიდველს, ერთი მიმწოდებელს).

**მხარეთა რეკვიზიტები**

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ს/კ 236035517) | შპს „მაიჯიპიეს“ (ს/კ 205216176 ) |
| ხელმძღვანელობაზე /წარმომადგენლობაზე<br>უფლებამოსილი პირი – დირექტორი<br>ნუგზარ ბოლქვაძე (პ/ნ 01008008307) | ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე<br>უფლებამოსილი პირი- დირექტორი - მიხეილ<br>ჩაკაბერია |
| საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“<br>ბანკის კოდი: LBRTGE22<br>ანგარიშის ნომერი: GE86LB0113112241617000 | საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი“ ბანკი<br>ბანკის კოდი: TBCBGE22<br>ანგარიშის ნომერი: GE15TB1928536020100006 |

შემსყიდველი

_____

მიმწოდებელი

_____

26.12.2016 ხელშეკრულება N276

*მომსახურების სპეციფიკაცია*

- დაქოქილ მდგომარეობაში მყოფი მოძრავი ობიექტიდან - მოწყობილობიდან მიღებული ინფორმაციის ვებ-გვერდზე განახლების დრო 15 წამი.
- ვებ-გვერდზე ისტორიის შენახვის ვადა 12 თვე.
- თვეში 25 მოკლე შეტყობინება (SMS) თითოეულ ავტომობილიდან პასუხისმგებელ პირთან
- 10 წრიული გეოგრაფიული ზონა თითოეულ ავტომობილზე
- სიჩქარის გადაჭარბების შეტყობინებები ელექტრონული ფოსტის მისამართზე;
- მოძრაობა-გაჩერების ანგარიში;

*მომსახურების ყოველთვიური გადასახადი ერთეულ ობიექტზე;*

- 35 ლარი/თვეში

*ფასები მოცემულია დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით

შენიშვნა: "შემსყიდველს" შეუძლია მოსთხოვოს მიმწოდებელს სანავიგაციო მოწყობილობის გადატანა ერთი ა/მანქანიდან მეორეზე. აღნიშნული მომსახურეობის საფასური შეადგენს 35 ლარს დღგ-ს ჩათვლით.

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ს/კ 236035517) | შპს „მაიჯიპიეს“ (ს/კ 205216176 ) |
| ხელმძღვანელობაზე /წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი ნუგზარ ბოლქვაძე (პ/ნ 01008008307) | ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი- დირექტორი - მიხეილ ჩაკაბერია |

შემსყიდველი

_____

მიმწოდებელი

_____

*დანართი 2*

*26.12.2016 ხელშეკრულება N276*

| N | ობიექტის აღწერა | სახელმწიფო ნომერი | ნომერი |
|---|---|---|---|
| 1 | FORD TRANSIT | AA – FF | 297 |

საკონტაქტო პირები:

1. მიხეილ ქამუშაძე - 599 355 999
2. თამარ ქანთარია – 598 94 15 22

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ს/კ 236035517) | შპს „მაიჯიპიეს“ (ს/კ 205216176 ) |
| ხელმძღვანელობაზე /წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი ნუგზარ ბოლქვაძე (პ/ნ 01008008307) | ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი- დირექტორი - მიხეილ ჩაკაბერია |

შემსყიდველი

_____

მიმწოდებელი

_____